უბედური შემთხვევის დაზღვევის პოლისი-ხელშეკრულება PAOBG 19/1858

ქ. თბილისი 21.02.2019 წ.

სს სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი (204426674) (შემდგომში „მზღვეველი) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ბ/ნ პაატა ლომაძისა და ფინანსური დირექტორის ბ/ნ ლევან ზუროშვილის მინდობილი პირის თბილისის გაყიდვების უფროსის ოთარ ნამორაძე მიერ და ბორჯომის საზოგადოებრივი ტრანსპორტი ს/კ 426111904 (შემდგომში დამზღვევი) წარმოდგენილი მისი დირექტორი ბ/ნ დიმიტრი ყიფიამის მიერ მეორეს მხრივ, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას მზღვეველის მიერ დამტკიცებული დაზღვევის საერთო წესების შესაბამისად შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება ითვალისწინებს მზღვეველის ვალდებულებას დამზღვევის მიერ ამ სადაზღვევო ხელშეკრულებით და მის საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული პრემიის პოლისით დადგენილი გადახდის გრაფიკის დაცვის სანაცვლოდ გასწიოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი # 1-ით განსაზღვრული სადაზღვევო მომსახურება, ხელშეკრულებით და დანართებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.

2. **განსაზღვრებანი**

2.1. ქვემოთ მოცემული ყოველი განსაზღვრება ინარჩუნებს აღნიშნულ მნიშვნელობას ამ დოკუმენტის ნებისმიერ ნაწილში.

2.2. **მზღვეველი** – სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“.

2.3. **დაზღვეული** –დაზღვევის მომენტისთვის 70 წლამდე ფიზიკური პირები აგრეთვე აღნიშნული ასაკის ზემოთ მხოლოდ ის ფიზიკური პირები, რომელთა დაზღვევის შესახებ მზღვეველი ინდივიდუალურად მიიღებს გადაწყვეტილებას თავისი შეხედულეისამებრ რომლებიც დამზღვევთან გაფორმებული შრომითი ან/და სხვა ხელშეკრულების საფუძველზე იმ ტერიტორიაზე, სადაც ოპერირებს დამზღვევი, ასრულებს სამუშაოებს და რომელთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა დამზღვევის მიერ დაზღვეულია მზღვეველთან უბედური შემთხვევისგან, წინამდებარე ხელშეკრულების და მისი დანართებით გათვალისწინებული პირობების თანახმად - სანამ აღნიშნული პირები მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით შრომით ან და სხვა სახის სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებიან დამზღვევთან.**დამზღვევი** – სადაზღვევო პოლისში მითითებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მზღვეველთან აფორმებს დაზღვევის ხელშეკრულებას და ვალდებულებას იღებს სრულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია ხელშეკრულებით/პოლისებით დადგენილი წესით.

2.4. **მოსარგებლე** – დაზღვეული ან დაზღვეულის, სიცოცხლის დაზღვევით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილების სამკვიდრო მოწმობის მქონე მემკვიდრეები.

2.5. **სადაზღვევო შემთხვევა** – სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა, რომლის შედეგადაც წარმოიშობა მზღვეველის ვალდებულება გადაუხადოს სადაზღვევო თანხა დაზღვეულს (მოსარგებლეს).

2.6. **უბედური შემთხვევა** – დამზღვევისგან/დაზღვეულისაგან დამოუკიდებელი, თვალსაჩინო გარე ძალების ზემოქმედებით სამუშაო პროცესში ან სამუშაო პროცესთან დაკავშირებით მომხდარი გაუთვალისწინებელი და უეცარი შემთხვევა, დამდგარი სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ დაზღვევის პერიოდში, რომელსაც შედეგად მოჰყვა დასაქმებულის ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან დაკარგვა, გარდაცვალება ან მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება.

2.6.1. ***მსუბუქი სიმძიმის უბედური შემთხვევა*** – უბედური შემთხვევის გამო მსუბუქი დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვის გარეშე ან შრომისუნარიანობის დაკარგვით არაუმეტეს 3 დღისა;

2.6.2. ***საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევა*** – უბედური შემთხვევის გამო თანამშრომლის ჯანმრთელობის დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვით 3 დღიდან 40 დღემდე;

2.6.3. ***მძიმე უბედური შემთხვევა*** – უბედური შემთხვევის გამო მუდმივი შრომისუუნარობის განვითარება ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან/და დროებითი შრომისუუნარობის განვითარება 40 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით;

2.6.4. ***ფატალური უბედური შემთხვევა*** – უბედური შემთხვევის გამო თანამშრომლის სამუშაო ადგილზე ან უბედური შემთხვევიდან 1 წლის განმავლობაში გარდაცვალება;

2.6.5. ***მასობრივი უბედური შემთხვევა*** – უბედური შემთხვევის გამო 3 ან მეტი თანამშრომლის დაშავება, მათ შორის, 1 მძიმე უბედური შემთხვევა ან 1 ფატალური უბედური შემთხვევა.

2.7. **დროებითი შრომისუუნარობა** – მხოლოდ უბედური შემთხვევით რაიმე სხვა მიზეზისგან დამოუკიდებლად გამოწვეული სხეულის დაზიანების/ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზით სრული შრომისუუნარობის დადგომით გამოწვეული სახლში/სამედიცინო დაწერებულებაში ყოფნა.

2.8. **მუდმივი შრომისუუნარობა** – მხოლოდ უბედური შემთხვევით რაიმე სხვა მიზეზისგან დამოუკიდებლად გამოწვეული სხეულის დაზიანება, რომელიც უბედური შემთხვევის დღიდან მინიმუმ 12 კალენდარული თვის განმავლობაში გამოიწვევს დაზღვეულის შრომისუნარიანობის სრულ მუდმივ დაკარგვას, როგორც ეს განსაზღვრულია დანართში.

2.9. **გარდაცვალება** – უბედური შემთხვევის დღიდან 12 კალენდარული თვის განმავლობაში მომხდარი, უშუალოდ ამ უბედური შემთხვევით გამოწვეული დაზღვეულის გარდაცვალება.

2.10. **გადაუდებელი სამედიცინო დახმარება** - ითვალისწინებს უბედური შემთხვევების დროს საჭირო სამედიცინო მომსახურებას, რომელიც ქვეყანაში მოქმედი სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად დაზღვეულს უნდა გაეწიოს შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 48 საათისა.

2.11. **სადაზღვევო პერიოდი –** სადაზღვევო პოლისში მითითებული დაზღვევის მოქმედების პერიოდი.

2.12. **სადაზღვევო თანხა –** პოლისით გათვალისწინებული მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა.

2.13. **მიმდინარე სადაზღვევო თანხა** – სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის, პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხის ნაწილი, რომელიც დარჩა წინა სადაზღვევო შემთხვევების ანაზღაურების შემდეგ.

2.14. **სადაზღვევო ლიმიტი პიროვნებაზე** – ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი თითოეულ დაზღვეულზე, , როგორც ეს მითითებულია პოლისში.

2.15. **სადაზღვევო ლიმიტი ერთ შემთხვევაზე** -ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი, რომლის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა ერთი მიზეზით გამოწვეული და დროის ერთ მონაკვეთში მომხდარი სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უბედური შემთხვევისას. იგი დაანგარიშდება მიმდინარე სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

2.16. **სადაზღვევო პრემია** – პოლისში მითითებული თანხა, რომელსაც დამზღვევი უხდის მზღვეველს სადაზღვევო მომსახურებაში.

2.17. **ტერიტორიული ფარგლები** – დაზღვევა ფარავს მხოლოდ საქართველოს, სომხეთის, თურქეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სამუშაო სივრცეში მომხდარ უბედური შემთხვევებს, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული პოლისში. ამათან სამუშაო სივრცე გულისხმობს ყველა სამუშაო ადგილისა და იმ ტერიტორიის ერთობლიობას, სადაც დასაქმებულები იმყოფებიან/გადაადგილდებიან სამსახურებრივი დანიშნულებით.

3. ძირითადი დებულებები

3.1. ხელშეკრულების დადების საფუძველია და წინამდებარე დაზღვევა ეფუძნება უბედური შემთხვევის დაზღვევის განაცხადში დამზღვევის მიერ მითითებულ ინფორმაციას. თუ მზღვეველს არ მიეწოდა ინფორმაცია და/ან ინფორმაცია შეიცავდა არასწორ მონაცემებს, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ხელშეკრულებით და მის საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან იმ ნაწილში, რა ნაწილშიც მზღვეველს არ მიეწოდა ინფორმაცია ან/და მიეწოდა არასწორი ინფორმაცია.

3.2. მზღვეველი თავისუფლდება დაზღვევით ნაკისრი მოვალეობის შესრულებისგან სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდგომაც, თუ გარემოებამ, რომლის შესახებაც დაირღვა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება გავლენა იქონია სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე.

3.3. უბედური შემთხვევის დაზღვევის განაცხადი, წინამდებარე ხელშეკრულების დანართები (დანართი #1 - დაზღვევის პირობები; დანართი #2 – დაზღვეულთა სია), ცვლილებები, წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. სადაზღვევო პრემია, მისი გადახდის წესი და პირობები

4.1. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო მომსახურებისათვის პრემიის საწყისი ჯამური ოდენობა მითითებულია პოლისში.

4.2. სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდება ერთჯერადად 25 02. 2019 -ში.

4.3. დამზღვევი ვალდებულია ანგარიშსწორება მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით, ჯამურად ყველა დაზღვეულ პირზე ინვოისის წარდგენის საფუძველზე, ინვოისში მითითებული თანხის სრულად ერთი გადარიცხვით. თუ თანხის გადახდის დღე დაემთხვა არასამუშაო დღეს, ამ დღის ნაცვლად გამოიყენება მომდევნო სამუშაო დღე.

4.4. პრემიის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით. თანხა, გადახდილად იქნება მიჩნეული მისი მზღვეველის ანგარიშზე ფაქტობრივი ჩარიცხვის შემდეგ.

4.5. დამზღვევის მიერ პრემიის სადაზღვევო ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით და წესით გადაუხდელობისას მზღვეველი დამზღვევს განუსაზღვრავს ორკვირიან ვადას არსებული დავალიანების აღმოსაფხვრელად. დავალიანების აღმოფხვრამდე სადაზღვევო ხელშეკრულება შეჩერდება. სადაზღვევო ხელშეკრულება განახლდება მხოლოდ დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის შემდეგ. დავალიანების დაფარვის შემდგომ მზღვეველი დავალიანების პერიოდში დამდგარ შემთხვევებს აღარ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევად და ამ პერიოდში დამდგარი შემთხვევა მზღვეველის მიერ არ ანაზღაურდება. იმ შემთხვევაში თუ დამზღვევის მიერ არ იქნა დავალიანება გადახდილი წერილით განსაზღვრულ ვადაში, წერილის გაგზავნის თარიღიდან 1 თვის ვადაში ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად. დამზღვევის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის, ასევე დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის გამო მზღვეველის მხრიდან ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს დაზღვევის შეწყვეტის მომენტისათვის პრემიის არსებული დავალიანება სრულად, ასევე დამატებით გადაუხადოს მზღვეველს თანხა წლიური სადაზღვევო პრემიის 25 პროცენტის ოდენობით არაუმეტეს წლიური პრემიისა.

4.6. ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება არ ათავისუფლებს დამზღვევს სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებისაგან.

4.7. სადაზღვევო პრემიის გადახდამდე "მზღვეველი" თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან.

5. სადაზღვევო თანხა და სადაზღვევო ლიმიტი:

5.1. სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხა 285 (ორასოთხმოცდახუთი) ლარი წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალურ ჯამურ ლიმიტს, რომელიც შეიძლება გადახდილი იყოს ამ პოლისის მიხედვით ერთი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში.

5.2. ერთ დაზღვეულზე გაცემული მთლიანი ასანაზღაურებელი თანხა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს სადაზღვევო ლიმიტს პიროვნებაზე.

5.3. კონკრეტულ პოლისზე დამდგარი შემთხვევისას სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისას, ყოველ ასეთ შემთხვევაში სადაზღვევო თანხა/ანაზღაურების ჯამური ლიმიტი მცირდება ამ დაზღვევასთან დაკავშირებით მზღვეველის მიერ ანაზღაურებული თანხების ოდენობით.

5.4. სადაზღვევო თანხა მთლიანობაში და სადაზღვევო ლიმიტი პიროვნებაზე მითითებულია პოლისში.

6. ხელშეკრულების ცვლილებების განხორციელებისა და შეწყვეტისა პირობები

6.1. დაზღვეულ პირთა დამატება-გაუქმება ხორციელდება დამზღვევის მიერ მოწოდებული სიის შესაბამისად.

6.2. დაზღვეულ პირთა სიაში ცვლილებების (დამატება, გაუქმება) მოთხოვნა მზღვეველს უნდა ეცნობოს ელექტრონული პორტალის საშუალებით (რომელიც განთავსებულია მისამართზე corporate.gpih.ge) ან წერილობით, მზღვეველის მიერ მითითებული ფორმით, ცვლილებების ძალაში შესვლამდე 1 სამუშაო დღით ადრე.

6.3. დაზღვეულ პირთა სიაში დამატების შესახებ შეტყობინება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: დაზღვეულის (თანამშრომლის) სახელი, გვარი; პირადი ნომერი; დაბადების თარიღი; მისამართი, ტელეფონი; სამუშაო ადგილი და თანამდებობა; სამსახურებრივი სტატუსი; სამსახურში აყვანის თარიღი და სამსახურში აყვანის ბრძანების ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულების ნომერი;

6.4. დაზღვეულ პირთა სიაში გაუქმების შესახებ წერილობითი შეტყობინება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: დაზღვეული (თანამშრომლის) სახელი, გვარი; პირადი ნომერი; დაბადების თარიღი; სამსახურიდან განთავისუფლების თარიღი და სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანების ნომერი;

6.5. დაზღვეული თანამშრომლის დაზღვევის ვადაზე ადრე გაუქმება ხორციელდება მხოლოდ ამ ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

6.6. დანართში #2 ცვლილებების შეტანისას კერძოდ დაზღვეულთა საერთო რაოდენობის ცვლილების შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს სადაზღვევო პრემიის ცვლილება.

6.7. დანართში #2 ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანის შემთხვევაში დაზღვევა ამოქმედდება/გაუქმდება მომდევნო კალენდარული დღიდან პოლისში მოცემული პირობების შესაბამისად.

6.8. დაუშვებელია დაზღვეულ პირთა დამატება ხელშეკრულები მოქმედების ამოწურვამდე 1 თვის ვადაში.

6.9. მხარეები უფლებამოსილნი არიან დაუყონებლივ ვადაზე ადრე შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება, იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ პირობებს, ამასთანავე, ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლის დროს არსებული ვალდებულებების შესრულებისგან.

7. მხარეთა უფლება – მოვალეობები

7.1. მზღვეველი ვალდებულია:

7.1.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის დამზღვევის/დაზღვეულის მიერ ყველა საჭირო დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ შეასრულოს დაზღვევით ნაკისრი ვალდებულება დროულად და ჯეროვნად;

7.1.2. დაიცვას და არ გაახმაუროს დამზღვევთან საქმიანი ურთიერთობების შედეგად მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.2. მზღვეველი უფლებამოსილია:

7.2.1. დამზღვევის მხრიდან ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში შეაჩეროს და/ან შეწყვიტოს სადაზღვევო ხელშეკრულება.

7.2.2. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დამზღვევის სადაზღვევო კითხვარი-განაცხადში დამზღვევის მიერ ინფორმაციის არასწორად მითითების ან/და ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში.

7.2.3. დაზღვეულის სამსახურიდან წასვლის ან დამზღვევის მიერ მასთან შესაბამისი ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში რომლითაც დაზღვეული ასრულებდა დამზღვევისთვის სამუშაოებს - მისი დაზღვევა გააუქმოს პირველივე შესაძლო თარიღში.

7.2.4. მომსახურების ხარჯების ანაზღაურების გაცემის შემდეგ, მზღვეველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს შესაბამისი ხარჯების კომპენსაცია იმ პირთაგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაზღვეულის სიცოცხლისთვის/ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანზე. აღნიშნულ პირებში არ იგულისხმება დამზღვევი, შესაბამისად, მზღვეველი არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს ხარჯების კომპენსაცია იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომა მოხდა დამზღვევის ბრალეული ან/და გაუფრთხილებელი ქმედების შედეგად.

7.2.5. მოითხოვოს გაცემული ანაზღაურების დაბრუნება, თუ აღმოჩნდა, რომ ზარალის დადგომა არ იყო გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით ან დამზღვევის/დაზღვეულის ბრალით შეუძლებელია რეგრესის უფლების გამოყენება.

7.2.6. ”დამზღვევის” მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების, ასევე სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში წერილობით მოითხოვოს ”დამზღვევისაგან” პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.20%-ს ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის; პირგასამტეხლო გადაიხდება დამატებით, სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულების მიუხედავად, რომლის გადახდაც არ ათავისუფლებს ”დამზღვევს” მის მიერ წინამდებარე ხელშეკულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების შესრულებისაგან.

7.3. დამზღვევი ვალდებულია:

7.3.1. დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პრემია სრულად.

7.3.2. დაზღვევის გაფორმებისას "დამზღვევი" ვალდებულია აცნობოს “მზღვეველს” ყველა მისთვის ცნობილი ინფორმაცია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისათვის, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ შეასრულოს მზღვეველის ყველა მითითება, რაც უკავშირდება სადაზღვევო შემთხვევის ან მოვლენის ასევე ზიანის მოცულობის დადგენას, სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მოძიებას.

7.3.3. მიანიჭოს მზღვეველს უფლება და შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში გასცეს წერილობითი თანხმობები კანონმდებლობით დადგენილი წესით, იმისათვის რომ მზღვეველმა შეუფერხებლად აწარომოოს მოკვლევა ან/და დამზღვევის/დაზღვეულის და სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ნებისმიერი დოკუმენტაციის მოპოვება სახელმწიფო, კერძო თუ სხვა სახის ორგანიზაციებში სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისთვის, რისკების კონტროლისთვის, სადაზღვევო ანაზღაურებისთვის აუცილებელი ინფორმაციის გადამოწმების და მისი ნამდვილობის დადასტურების მიზნით.

7.3.4. მიანიჭოს მზღვეველს უფლება მოითხოვოს/გადაამოწმოს დაზღვეულის პირადი მონაცემები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, სამოქალაქო რეესტრის შესაბამის ტერირორიულ უწყებაში და ასევე კერძო და საჯარო პირებთან (ადმინისტრაციული) ორგანოებთან.

7.3.5. უზრუნველყოს მზღვეველისათვის იმ დოკუმენტაციის სრულად გადაცემა რომლის საფუძველზეც, მზღვეველი უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს რეგრესული ანაზღაურება მესამე პირებისგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაზღვეულისათვის მიყენებულ ზიანზე.

7.3.6. დაზღვეული პირის სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში შეატყობინოს მზღვეველს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ინფორმაცია.

7.3.7. საჭიროების შემთხვევაში გადასცეს მზღვეველს დაზღვეული თანამშრომლის შესახებ ნებისმიერი დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს თანამშრომლის დამზღვევთან შრომით ურთიერთობაში ყოფნას.

7.3.8. სადაზღვევო მომსახურების კოორდინაციის მიზნით გამოყოს მზღვეველთან საკონტაქტო პირი.

7.3.9. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულებით დადგენილი წესით და ვადებში აცნობოს ამის შესახებ მზღვეველს.

7.3.10. დეტალურად გააცნოს წინამდებარე დაზღვევის პირობები დაზღვეულებს/მოსარგებლეებს; მათ შორის ვალდებულებები, რომ დაზღვეულებმა/მოსარგებლეებმა შეატყობინონ მზღვეველს პოლისში მითითებულ ნომერზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ობიექტური გარემოებების გამო შეტყობინება შეუძლებელია); ასევე დაზღვეულების/მოსარგებლეების ვალდებულია მზღვეველს მიანიჭოს უფლება მოიძიოს და გაეცნოს ყველა იმ დოკუმენტაციას, რომელსაც მზღვეველი ჩათვლის საჭიროდ სადაზღვევო ანაზღაურებისათვის. წინაადმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანი.

7.3.11. დაზღვეულთა/მოსარგებლეთა მიერ ხელშეკრულებით და მისი დანართებით გათვალისწინებული ქმედებების შესრულებაზე, ასევე მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების/უმოქმედობის ხელშეკრულებასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია დამზღვევი, შესაბამისად მზვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს ზიანი, თუ დაზღვეულთა/მოსარგებლეთა მიერ დარღვეული იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართით გათვალისწინებული ვალდებულებები და პროცედურები.

7.3.12. შეატყობინოს მზღვეველს თუ დაზღვეული დაეზღვია უბედური შემთხვევისაგან სხვა სადაზღვევო კომპანიაში/კომპანიებშიც ამ დაზღვევის/დაზღვევების ძალაში შესვლის მომენტიდან 3 კვირის განმავლობაში.

7.3.13. შეატყობინოს მზღვეველს თუ დაზღვეულმა შეიცვალა პროფესია ან საქმიანობა.

7.4. დამზღვევი უფლებამოსილია:

7.4.1. სადაზღვევო პოლისის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში, დამზღვევი უფლებამოსილია მოითხოვოს პოლისის ასლი, რომლესაც გასცემს მზღვეველი. ამის შემდეგ დაკარგული პოლისი უვარგისად ჩაითვლება, ხოლო ასლის გაცემასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს გაიღებს დამზღვევი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. სადაზღვევო შემთხვევის გაყალბების ან გაყალბების მცდელობის პირველივე შემთხვევაში, დამზღვევის მიერ იმ პირების დაზღვევის შემთხვევაში, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით დაზღვევას არ ექვემდებარებიან, სამსახურიდან გათავისუფლებულ პირებზე ინფორმაციის დამალვის შემთხვევაში გადაუხადოს მზღვეველს

პირგასამტეხლოს სახით 5 000.00 (ხუთი ათასი) ლარი ყოველ ასეთ პირზე; ასეთ პირებზე დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა ანაზღაურებას არ ექვემდებარება, ხოლო თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია, დამზღვევი ვალდებულია უპირობოდ დაუბრუნოს იგი მზღვეველს; ამასთან ყოველი ასეთი პირის დაზღვევა მზღვეველის მხრიდან ექვემდებარება გაუქმებას.

8.3. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი დაუზღვეველი შემთხვევების, აგრეთვე ნებისმიერი სახის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები:

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან 2020 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.

9.2. დაზღვევა ძალაში შედის პოლისით განსაზღვრული დაზღვევის მოქმედების პირველი დღის 00.00 საათიდან და მოქმედებს ამავე პოლისით განსაზღვრული დაზღვევის მოქმედების ბოლო დღის 24:00 საათამდე

10. დავების გადაწყვეტა

10.1. მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მიმართ.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების შემთხვევაში მხარეები უთანხმოების მოგვარებისათვის ხელშეწყობის მიზნით მიმართავენ *„დაზღვევის მედიაციას“* სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: +995 32 2 555 155 ან ელექტრონულ მისამართზე: mediacia@insurance.org.ge.

10.3. თუ მხარეები მედიაციის სამსახურის მეშვეობით ვერ შეძლებენ შეთანხმების მიღწევას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

10.4. გამომდინარე იქედან, რომ მხარეთა მიერ ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია მზღვეველის ადგილსამყოფელი, დავის განხილვა მოხდება მზღვეველის ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ საერთო სასამართლოში.

11. ფორს-მაჟორი

11.1. არც ერთი მხარე პასუხს არ აგებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, არადროულად ან/და არასათანადოდ შესრულებაზე, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა, არასათანადო ან არადროული შესრულება განპირობებულია დაუძლეველი ძალის გარემოებათა (ფორს-მაჟორულ გარემოებათა) დადგომის ან/და მოქმედ1ბის შედეგად. აღნიშნული ვალდებულება ძალაში შედის დაუძლეველი ძალის გარემოებათა გაუქმებისთანავე.

11.2. დაუძლეველი ძალის გარემოებები გულისხმობს საგანგებო ხასიათის მქონე მოვლენებს, რომლებიც წარმოიქმნა წინამდებარე ხელშეკრულების დადების შემდეგ, მხარეთა (მხარის) ნების გარეშე, კერძოდ: სტიქიური მოვლენები და კატაკლიზმები, ომი, სამოქალაქო არეულობა, სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო ან/და აღმასრულებელი ორგანოების, საერთაშორიოს საგადამხდელო სისტემების გადაწყვეტილებები და ა.შ. რაც შეუძლებელს ხდის მხარეთა სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას.

11.3. მხარე, რომელიც განიცდის ფორს-მაჟორული გარემოებების ზემოქმედებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ, აღნიშნული გარემოებების დადგომიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღის განმავლობაში, წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს ფორს-მაჟორულ გარემოებათა და მათი დადგომის შესახებ და მიიღოს აუცილებელი ზომები ამ გარემოებებით გამოწვეული ნეგატიური შედეგების შესამცირებლად. ანალოგიური მოთხოვნები ვრცელდება აგრეთვე ფორს-მაჟორული გარემოებებისა და მათი შედეგების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაზეც.

11.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დადასტურებული უნდა იქნას ოფიციალური/უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით. ამასთან, საყოველთაოდ ცნობილი ფორს-მაჟორმული გარემოებები არ საჭიროებს რომელიმე ორგანოს მხრიდან წერილობით დადასტურებას.

11.5. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადა გაგრძელდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დროის შესაბამისად.

12. დამატებითი პირობები

12.1. დამზღვევი აცხადებს, რომ გააჩნია ყველა საჭირო თანხმობა და ნებართვა იმისათვის, რომ დადოს ხელშეკრულება დაზღვეულთა სასარგებლოდ და განახორციელოს აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებები. დამზღვევი წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით ადასტურებს, რომ ხელშეკრულება და მზღვეველის მიერ მისთვის გადაცემული დანართები, მათ შორის სადაზღვევო წესები არ შეიცავს ბუნდოვან ან უჩვეულო დებულებებს და რომ იგი სრულად გაეცნო და ეთანხმება პირობებს. დამზღვევი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აგრეთვე ადასტურებს, რომ ყველა დანართსა და ცვლილებას გააჩნია მისთვის სავალდებულო ძალა.

12.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება წერილობით, შესაბამისი მხარის ხელმოწერით და ძალაშია ხელმოწერის შემდგომ.

12.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობები ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე და წარმომადგენლებზე.

12.4. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, რასაც არ ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულება, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლიბით.

12.5. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ ნებისმიერი სხვა სიტყვიერი ან წერილობითი შეთანხმება ხელშეკრულებით მოწესრიგებულ საკითხებთან დაკავშირებით ბათილია.

12.6. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევებში.

12.7. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას, გარდა ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, მხარეებმა მისამართის შეცვლის შესახებ უნდა აცნობონ ერთმანეთს არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა. მისამართის/ადგილსამყოფელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მზღვეველისთვის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ჩაითვლება დამზღვევის მიერ მიღებულად.

12.8. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები:

“მზღვეველი”	**„დამზღვევი“**
სს "სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი" საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674	ქ.ბორჯომის საზოგადოებრივი ტრანსპორტი ს/კ 426111904
მისამართი: წერეთლის 116 თბილისი, საქართველო	მისამართი: ქ.ბორჯომი მესხეთის 146 ბ
გენერალური და ფინანსური დირექტორის მინდობილი პირი თბილისის გაყიდვების უფროსი _____ /ოთარ ნამორაძე /	დირექტორი _____ / დიმიტრი ყიფიანი/ დასმულია ელექტრონული კვალიფიციური შტამპი ა(ა)იპ ბორჯომის საზოგადოებრივი ტრანსპორტი

დანართი #1 - დაზღვევის პირობები

1. **სადაზღვევო შემთხვევა:**

წინამდებარე პირობების თანახმად სადაზღვევო შემთხვევად განიხილება უბედური შემთხვევით გამოწვეული პოლისში მითითებული შემდეგი სადაზღვევი შემთხვევები:

- მუდმივი შრომისუუნარობა
- დაზღვეულის გარდაცვალება.
- გადაუდებელი სამედიცინო დახმარება
- დროებითი შრომისუუნარობა

2. **პირები, რომლებიც არ ექვემდებარებიან დაზღვევას**

2.1. პირები, რომლებიც მუდმივ მოვლას საჭიროებენ ან რომლებიც ფსიქიურად არიან დაავადებულნი, არ ექვემდებარებიან დაზღვევას და არ ჩაითვლებიან დაზღვეულებად, მათ სასარგებლოდ პრემიის გადახდის პირობებშიც კი. პირი, რომელიც

მუდმივ მოვლას საჭიროებს, გულისხმობს პირს, რომელიც ყოველდღიური საქმიანობის შესრულებისთვის სხვების დახმარებას საჭიროებს.

2.2. იმ დაზღვეულების მიმართ, რომელნიც აღმოჩნდებიან წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ მდგომარეობაში ხელშეკრულების დადების შემდეგ, აღნიშნული ხელშეკრულება წყდება ასეთი გარემოებების დადგომის მომენტიდან.

2.3. ავიაკომპანიის თანამშრომლები და ეკიპაჟის წევრები;

2.4. გემების ეკიპაჟის წევრები და მყვინთავები;

2.5. ბირთვულ რადიაციასთან მომუშავე პირები.

3. სადაზღვევო უზრუნველყოფა:

დაზღვევა ძალაშია მხოლოდ სამუშაო სივრცეში, რაც გულისხმობს სამუშაო ადგილისა და იმ ტერიტორიის ერთობლიობას, სადაც დასაქმებული და სხვა პირი იმყოფებიან/გადაადგილდებიან სამსახურებრივი დანიშნულებით და რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ დამსაქმებელი აკონტროლებს;

4. ასანაზღაურებელი თანხა:

4.1. დაზღვევის პირობებით განსაზღვრული უბედური შემთხვევით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევისას ასანაზღაურებელი თანხა მითითებულია პოლისში.

4.2. მძიმე უბედური შემთხვევისას დაზღვეულის 40 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით დროებითი ან/და მუდმივი შრომისუუნარობის განვითარებისას გაიცემა სადაზღვევო ლიმიტის შემდეგი მოცულობები:

ა) მუდმივი შრომისუუნარობისას:

- მეორე ხარისხი – (ფუნქციების ზომიერად გამოხატული დარღვევა) პიროვნებაზე სადაზღვევო ლიმიტის 30%
- მესამე ხარისხი – (ფუნქციების მნიშვნელოვნად გამოხატული დარღვევა) პიროვნებაზე სადაზღვევო ლიმიტის 70%
- მეოთხე ხარისხი – (ფუნქციების მკვეთრად გამოხატული დარღვევა) პიროვნებაზე სადაზღვევო ლიმიტის 100%
- გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისას სამედიცინო მომსახურების ხარჯები შესაბამისი ლიმიტის გათვალისწინებით.

ბ) დროებითი შრომისუუნარობისას:

- ასანაზღაურებელი თანხა დაანგარიშდება ***დროებითი შრომისუუნარობის*** ლიმიტის ფარგლებში, რომელიც შეადგენს თანამშრომელზე დღეში 15 ლარს, მაქსიმუმ 300 ლარის ფარგლებში.

4.3. მსუბუქი და საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევის შემთხვევაში ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს:

- გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ხარჯებს შესაბამისი ლიმიტის გათვალისწინებით.

4.4. ფატალური უბედური შემთხვევის დროს დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს პიროვნებაზე სადაზღვევო ლიმიტის 100%-ს, როგორც ეს განსაზღვრულია ხელშეკრულებაში.

4.5. მასობრივი უბედური შემთხვევის დროს დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში მოსარგებლეზე გაიცემა პიროვნებაზე სადაზღვევო ლიმიტის 100%, როგორც ეს განსაზღვრულია ხელშეკრულებაში, მაგრამ დანაკარგების რაოდენობის და თანხის მიუხედავად იგი არ უნდა აღემატებოდეს სადაზღვევო თანხას.

4.6. ერთ დაზღვეულზე გაცემული მთლიანი ასანაზღაურებელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს სადაზღვევო ლიმიტს პიროვნებაზე. თუ ერთ პიროვნებაზე სრული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებისას ასანაზღაურებელი თანხა არის სადაზღვევო თანხის 100%-ზე მეტი, მზღვეველი აანაზღაურებს კონრეტული შემთხვევის დროს დარჩენილი სადაზღვევო ლიმიტის 100%.

4.7. ანაზღაურების მთლიანი თანხა ამ პოლისის მიხედვით ლიმიტირებულია პოლისში აღნიშნული სადაზღვევო თანხით, დანაკარგების რაოდენობის და თანხის მიუხედავად. იმ შემთვევაში, როცა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიმდინარე სადაზღვევო თანხა დაშავებულთა რაოდენობის გათვალისწინებით პიროვნებაზე სადაზღვევო ლიმიტების ჯამზე ნაკლებია, ასანაზღაურებელი თანხა დაზღვეულზე/მოსარგებლეზე გაიცემა პროპორციულად თანაბრად.

5. გამონაკლისები

5.1. ეს დაზღვევა არ ფარავს:

- უბედურ შემთხვევამდე არსებულ ფიზიკურ ნაკლებს, ანომალიებს ან დაავადებებს;
- სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე მომხდარ უბედურ შემთხვევებს;
- შემთხვევებს, რომელიც შედეგად მოყვა ავიაკატასტროფას.
- საკვებისმიერ ინტოქსიკაციას.

5.2. ეს დაზღვევა არ ფარავს შემთხვევებს, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეული ან პროვოცირებული იქნა ან შედეგად მოჰყვა:

- დაზღვევამდე ანდა არასადაზღვევო შემთხვევის გამო ჩატარებულ ან მიმდინარე მკურნალობას ან ჩარევებს, ინფექციებს, გარდა წინამდებარე პოლისით დაფარული უბედური შემთხვევის შედეგად განვითარებულისა, კანის ან

ლორწოვანი გარსის უმნიშვნელო დაზიანებები, რომელთა შედეგადაც დაზღვეულის ორგანიზმში მაშინვე ან მოგვიანებით ინფექცია შეიჭრა, არ ჩაითვლება უბედური შემთხვევის შედეგად მიღებულ დაზიანებად, გარდა ცოფისა და ტეტანუსისა;

- ტოქსიური ნივთიერებებით მოწამვლას, რომელიც მოყვა დაზღვეულის მიერ თხევადი ან არათხევადი ნივთიერების მიღებას;
- აბდომინალურ ან საზარდულის თიაქარს
- მალთაშორისი დისკების დაზიანებას, სისხლდენას შინაგანი ორგანოებიდან და თავის ტვინში სისხლჩაქცევას, გარდა წინამდებარე პოლისით დაფარული უბედური შემთხვევის შედეგად განვითარებულისა.
- ორსულობას ან მშობიარობას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მშობიარობა უბედური შემთხვევით იქნება დაჩქარებული;
- გონებრივ, ფსიქიურ ან ფსიქოსომატურ დარღვევებს (დროებითს ან სხვას);
- დაზღვეულის ყოფნას ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მოქმედების ქვეშ;
- განსაკუთრებული საფრთხის მიმართ შეგნებულ გაუფრთხილებლობას (თუ ეს ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის მიზნით არ ხდება);
- დაზღვეულის თვითმკვლელობას ან ამგვარის მცდელობას, შეგნებულ თვითდაშავებას;
- დაზღვეულის მიერ ჩადენილ დანაშაულს ან მისი ჩადენის მცდელობას;
- ბირთვული ენერგიით (ბირთვული რეაქციები, რადიაცია, დაბინძურება), ნებისმიერ დაზიანებას ან დაავადებას, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოყვა ბირთვული საწვავით ან ბირთვული საწვავის აფეთქებით გამოწვეულ იონიზირებულ დასხივებას ან რადიოაქტიულ დაბინძურებას;
- ომს, ინტერვენციას, საომარ მოქმედებებს (განურჩევლად იმისა, გამოცხადებულია თუ არა ომი), სამოქალაქო ომს, აჯანყებას, ნაციონალიზაციას ან კონფისკაციას ნებისმიერი მთავრობის ან მისი დავალებით ან სახელმწიფო თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ, ან ნებისმიერი პირების, რომლებიც მოქმედებენ დამოუკიდებლად ან რაიმე ორგანიზაციასთან კავშირში და რომელთა საქმიანობაც მიმართულია de facto თუ de jure მთავრობის გადადგომაზე ან მის ზეგავლენაზე ტერორიზმის თუ ძალადობის მეშვეობით;
- ნებისმიერ ტერორისტულ აქტს;
  - ტერორისტული აქტი გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება, პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური ან ეთნიკური მოტივით სახელმწიფოზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ან/და საზოგადოების ან მისი რომელიმე ნაწილის დაშინების მიზნით გამოყენებულ ძალას ან ძალადობას და/ან მუქარას ნებისმიერი პირის ან პირების ჯგუფის მიერ, მიუხედავად იმისა მოქმედებენ ისინი მარტო, თუ რაიმე ორგანიზაციების ან ხელისუფლებების სახელით ან მათთან შეთანხმებულად.
  - აგრეთვე გამონაკლისს წარმოადგენს ნებისმიერი უბედური შემთხვევა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან რაიმე კავშირშია ნებისმიერ ქმედებასთან, რომელიც ჩადენილია ტერორისტული აქტის კონტროლის, ხელშეშლის, აცილების მიზნით ან რაიმე კავშირშია მასთან.
- სანაძლეოს, აკრობატულ ოინებს, ნებისმიერი სახის რეკორდის დამყარებას ან მის მცდელობას და მისთვის მზადებას, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული პოლისში;
- სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაში დაინტერესებული პირის (მოსარგებლის, მემკვიდრის) მიერ, დაზღვეულის წინასწარ განზრახულ მკვლელობას ან მის მონაწილეობას მკვლელობის ორგანიზებაში;
- დაზღვეულის ყოფნას ან მონაწილეობას - პოლიციის, სამხედრო ფლოტის, ჯარის ან სამხედრო საჰაერო ძალების შემადგენლობაში ან სამხედრო ოპერაციებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული პოლისში;
- მონაწილეობას ზამთრის სპორტის სახეობებში, პროფესიონალურ თუ სამოყვარულო სპორტში, აკვალანგით ყვინთვაში, კლდეზე ცოცვაში ან ალპინიზმში, სპელეოლოგიაში, დელტაპლანერიზმში, პარაშუტით ხტომაში, ნადირობაში, რაიმე სახის დოღებში ან რბოლებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული პოლისში.

5.3. ამ პოლისის თანახმად სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა:

5.3.1. თუ უბედური შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, დაზღვეული პიროვნება აღარ იქნება დასაქმებული დამზღვევ საწარმოში.

5.3.2. მზღვეველის მოთხოვნისამებრ სადაზღვევო თანხის ასანაზღაურებლად აუცილებელი დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში.

5.3.3. ხელშეკრულებით და წინამდებარე დანართით გათვალისწინებული დაზღვეულის/მოსარგებლის ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისას.

5.3.4. დაზღვეულის ჯანმრთელობასთან, პროფესია/საქმიანობასთან ან სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაციის ან ნებისმიერი სხვა ინფორმაციის დამალვის ან გაყალბების შემთხვევაში, როგორც დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას ასევე მოქმედების პერიოდში და სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგაც.

5.3.5. პირველი ან ერთჯერადი პრემიის დროულად გადახდამდე დამდგარი უბედური შემთხვევისას.

5.3.6. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ დაზღვეულმა/დამზღვევმა/ანაზღაურების მიღებაზე ულებამოსილმა პირმა არ შეასრულა მზღვეველის ყველა მითითება, რაც უკავშირდება სადაზღვევო შემთხვევის ან მოვლენის ასევე ზიანის

მოცულობის დადგენას, სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მოძიებას.

5.3.7. როცა დამზღვევი/დაზღვეული/ ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილი პირი არ მიანიჭებს მზღვეველს უფლებას და შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში არ გასცემს წერილობით თანხმობებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, იმისათვის რომ მზღვეველმა შეუფერხებლად აწარომოოს მოკვლევა ან/და დამზღვევის/დაზღვეულის და სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ნებისმიერი, მათ შორის სამედიცინო დოკუმენტაციის მოპოვება სახელმწიფო, კერძო თუ სხვა სახის ნებისმიერი მათ შორის სამედიცინო დაწესებულებებში, ორგანიზაციებში სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისთვის, რისკების კონტროლისთვის, სადაზღვევო ანაზღაურებისთვის აუცილებელი ინფორმაციის გადამოწმების და მისი ნამდვილობის დადასტურების მიზნით.

5.3.8. როცა დამზღვევი/დაზღვეული/ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილი პირი არ მიანიჭებს მზღვეველს უფლებას მოითხოვოს/გადაამოწმოს დაზღვეულის პირადი მონაცემები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, სამოქალაქო რეესტრის შესაბამის ტერირორიულ უწყებაში და ასევე კერძო და საჯარო პირებთან (ადმინისტრაციული) ორგანოებთან.

5.3.9. როცა დამზღვევი/დაზღვეული/ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილი პირი არ მიანიჭებს საჭიროების შემთხვევაში არ გადასცემს მზღვეველს დაზღვეული თანამშრომლის შესახებ ნებისმიერი დოკუმენტაციას, რომელიც დაადასტურებს თანამშრომლის დამზღვევთან შრომით ურთიერთობაში ყოფნას. დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მიღებისას, რომელიც დანიშნულია/განხორციელებულია კონკრეტული დარგის არალიცენზირებული/არასერთიფიცირებული ექიმის/სამედიცინო დაწესებულების მიერ.

6. ქმედება უბედური შემთხვევის დროს

6.1. ნებისმიერი უბედური შემთხვევის დადგომისას დაზღვეული/დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია უბედური შემთხვევის მომენტიდან 48 საათის განმავლობაში შეატყობინოს მზღვეველს ცხელი ხაზის საშუალებით (+995 032 2 505 111). შეტყობინება მოიცავს უბედური შემთხვევის აღწერას, დაზღვეულის სახელს და გვარს, დაზიანების სავარაუდო მოცულობას.

6.2. სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად დაზღვეულმა ან დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში მოსარგებლემ მზღვეველთან ასანაზღაურებლად უნდა წარმოადგინოს ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაცია შესაბამის ვადებში. დოკუმენტაციის წარმოდგენისას დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია შეავსოს მზღვეველის მიერ მისთვის მიწოდებული ფორმა "პრეტენზია ანაზღაურებაზე" (დანართი 3).

6.3. უბედური შემთხვევის შედეგად დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა მოხდება დაზღვეულის კანონით განსაზღვრულ მემკვიდრე/მემკვიდრეებზე. შესაბამისად, მას შემდეგ რაც მზღვეველის მიერ აღიარებული იქნება სადაზღვევო შემთხვევა, სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად მას კანონმდებლობით დადგენილ ვადაში უნდა წარედგინოს მემკვიდრეობის უფლების მოწმობის ორიგინალი და მემკვიდრის პირადობის მოწმობა.

6.4. დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზით ანაზღაურებაზე პრეტენზიის შემთხვევაში, გარდაცვლილი დაზღვეულის სხეული უნდა იყოს ამოცნობილი. დაზღვეულის გაუჩინარების შემთხვევა არ განიხილება გარდაცვალებად უბედური შემთხვევის შედეგად, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

6.5. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი თვლის, რომ საჭიროა გარდაცვალების მიზეზის ან შრომისუუნარობის ხარისხის დაზუსტება, მის მიერ მოთხოვნილ ექიმ-ექსპერტს ნება უნდა დაერთოს ჩაუტაროს დაზღვეულს სამედიცინო გამოკვლევა, ხოლო გარდაცვალების შემთხვევაში ჩატარდეს პათოლოგო-ანატომიური გამოკვლევა. ნებისმიერ შემთხვევაში დამადასტურებელ საბუთებს სამედიცინო ცნობების, ანკეტების, დეკლარაციების, ან სხვა სახით, მზღვეველის მოთხოვნისამებრ დაზღვეული/მოსარგებლე/კანონიერი მემკვიდრე წარმოადგენს საკუთარი ხარჯებით.

6.6. დაზღვეულის მუდმივი შრომისუუნარობით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევისას, შრომისუნარიანობის დაკარვის დადგენა ხდება საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული „დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის შესახებ" ბრძანების შესაბამისად. სადაზღევევო ანაზღაურება გაიცემა დაზღვეულის მუდმივი ნაწილობრივი ანდა დაზღვეულის მუდმივი სრული შრომისუნარიანობის დადგენის შემდეგ.

7. ანაზღაურების პროცედურა და ვადები:

7.1. სადაზღვევო შემთხვევის მზღვეველისთვის შეტყობინების შემდეგ მოსარგებლე ვალდებულია წარუდგინოს მზღვეველს ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაცია ანაზღაურების მოთხოვნის განაცხადთან („პრეტენზია ანაზღაურებაზე") ერთად:

- დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში მკურანლობის დასრულებიდან 1 თვის ვადაში.
- მუდმივი შრომისუუნარობის შემთხვევაში შრომისუნარიანობის დადგენიდან 1 თვის ვადაში.
- დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში სამკვიდრო მოწმობის მიღებიდან 1 თვის ვადაში.
- გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიღებიდან 1 თვის ვადაში.

7.2. მოსარგებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ნებისმიერი პირობის, მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან ვადების დარღვევის შემთხვევაში

მზღვეველი თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანი.

7.3. მზღვეველს აქვს უფლება ვადის დარღვევის შემთხვევაში მოსარგებლის მოტივირებული წერილის წარმოდგენის შემთხვევაში იმსჯელოს მოსარგებლის მიერ ვადის დარღვევის ფაქტზე თუ ეს დარღვევა გამოწვეული იყო მხოლოდ დაუძლეველი ძალით.

7.4. მოსარგებლის დაზღვეულზე ადრე გარდაცვალების შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლება გადაეცემა მოსარგებლის კანონით განსაზღვრულ მემკვიდრეებს.

7.5. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიღებისას ანაზღაურდება მკურნალობის ფაქტიური ხარჯი შესაბამისი ლიმიტ(ებ)ის ფარგლებში, დაზღვევის პირობების გათვალისწინებით.

7.6. ამ პოლისის ფარგლებში სრული ასანაზღაურებელი თანხა, შემთხვევების რაოდენობის, სიდიდისა და დაზღვეულის მემკვიდრეების რაოდენობის მიუხედავად, არ აღემატება სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხის 100%-ს პიროვნებაზე სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში.

7.7. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ყველა აუცილებელი დოკუმენტაციის მიღების შემდგომ მზღვეველი **10** კალენდარული დღის ვადაში აუნაზღაურებს მოსარგებლეს წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურებას.

8. ანაზღაურების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია

8.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საკითხის გადასაწყვეტად, ანაზღაურებაზე პრეტენზიასთან ერთად, მზღვეველს უნდა წარედგინოს შემდეგი საბუთები:

- სამართალდამცავის ორგანოების მიერ გაცემული ცნობა უბედური შემთხვევის შესახებ;
- სადაზღვევო პოლისის ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი.
- დაზღვეულის სისხლში ალკოჰოლისა და ტოქსიკური ნივთიერებების მაჩვენებლის დონის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამედიცინო ფორმა 100-ში შესაბამისი ჩანაწერი ან სასამართლო ექპერტიზის მიერ გაცემული პათოლოგ-ანატომიურ დასკვნაში მითითებით)

<u>და დამატებით:</u>

8.1.1. მუდმივი შრომისუუნარობის შემთხვევაში:

- ზედამხედველი ორგანოს მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმი (ასლი)
- სამედიცინო ექსპერტის გადაწყვეტილება მუდმივი შრომისუუნარობის დადგომის და შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხის შესახებ;
- დაზღვეულის პირადობის მოწმობა

8.1.2. დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში:

- კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დროებითი შრომისუუნარობის დამადასტურებელი საბუთი (საავადმყოფო ფურცელი)
- უბედური შემთხვევის შესახებ შიდა მოკვლევის ოქმი

8.1.3. დაზღვეულის გარდაცვალებისას:

- ზედამხედველი ორგანოს მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმი (ასლი)
- ცნობა გარდაცვალების შესახებ
- სამედიცინო დასკვნა გარდაცვალების შესახებ
- სასამართლო ექპერტიზის მიერ გაცემული პათოლოგ-ანატომიური დასკვნა გარდაცვლების მიზეზის მითითებით.
- მოსარგებლის პირადობის მოწმობა

8.1.4. გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისას:

- დაზღვეულის პირადობის მოწმობა
- სალაროს ქვითარი, სსდ შემთხვევაში - ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმით სტამბური წესით დაბეჭდილი ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი
- ფორმა №100 მიღებული მომსახურება დეტალური აღწერით;

8.1.5. სადაზღვევო შემთხვევის შესაფასებლად, საჭიროების შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს მოითხოვოს სხვა საჭირო საბუთები, რომლის წარმოდგენაც არის სავალდებულო შემთხვევის განხილვისათვის ან/და ანაზღაურების გაცემისათვის.

დანართი 2- „დაზღვეულ პირთა სია“ –(ივსება ექსელის ფორმატში)

	სახელი და გვარი	დაბადების თარიღი	სქესი	პირადი #	მისამართი	ტელეფონის ნომერი	თანამდებობა

1	ვახტანგ გოგოლაძე	14. 02.1965	მამრობითი	11001023991	ბორჯომი, სოფ. რველი	599693620	ტრაქტორისტი
2	ავთანდილ თვარაძე	10.10.1950	მამრობითი	11001025304	ბორჯომი, სოფ. ჭობისხევი	595216909	ტრაქტორისტი
3	ნოდარ გოგიჩაშვილი	22.01.1991	მ ამრობითი	11001027518	ბორჯომი, სოფ. ქვაბისხევი	557090702	ტრაქტორისტი
4	მამუკა ჩადუნელი	27.06.1978	მამრობითი	11001005665	ბორჯომი,სოფ. რველი	555320193	ელექტრიკოსი
5	ოთარ პაპიძე	20.01.1949	მამრობითი	11001003496	ბორჯომი, თამარ მეფის 13	551952220	მძღოლი
6	იოსებ ფერაძე	01.03.1968	მამრობითი	11001021442	ახალდაბა, ყაზბეგის 38	599555289	მძღოლი
7	რევაზ იობაშვილი	09.05.1957	მამრობითი	11001004623	ბორჯომი, ბესიკის 15	551217111	მძღოლი
8	ოთარ ხაჩიძე	02.01.1951	მამრობითი	11001026729	ბორჯომი, მესხეთის 105	595300781	მძღოლი
9	მერაბ კიკნაძე	19.08.1956	მამრობითი	11001000362	ბორჯომი, ფიროსმანის 28	595908000	მძღოლი
10	ჯემალ გოჩაშვილი	05.02.1956	მამრობითი	11001026812	ბორჯომი, სოფ. ყვიბისი	558959430	მძღოლი
11	ლევან ბლიაძე	11.04.1959	მამრობითი	11001017704	ბორჯომი, აღმაშენებლის 31	598130953	მძღოლი
12	სოლომონ ჯეირანაშვილი	17.06.1973	მამრობითი	11001007571	ბაკურიანი, თავისუფლების 5	595258868	მძღოლი
13	თეიმურაზ გელაშვილი	24.07.1948	მამრობითი	11001011364	ბორჯომი,რუსთაველის 53	599355939	მძღოლი
14	ვლადიმერ ნოზაძე	15.06.1952	მამრობითი	11001007818	ბორჯომი, თორის 28	555649970	მძღოლი
15	ზვიად ბუდაგაშვილი	24.10.1976	მამრობითი	11001015510	ბორჯომი, მესხეთის 112	599627943	მძღოლი
16	ტარიელი მჭედლიშვილი	16.02.1954	მამრობითი	11001007135	ბორჯომი, სოფ. დაბა	591322070	მძღოლი
17	დავით	30.09.1955	მამრობითი	11001022118	დაბა წაღვერი,	555590104	მძღოლი

	კურტანიძე				თავისუფლების 5		
18	მერაბ ტყემალაძე	13.02.1959	მამრობითი	11001002942	დაბა წაღვერი, თორელის 38	595314314	მძღოლი
19	ოთარ ქოქოევი	31.10.1957	მამრობითი	11001019666	ბორჯომი, რაზმაძის ჩიხი 1	599681418	მძღოლი
20	ნოდარ ფერაძე	02.03.1956	მამრობითი	11001024218	ბორჯომი, სოფ. საკირე	595649987	მძღოლი
21	თამაზ სამსონიძე	09.03.1962	მამრობითი	11001021400	ბორჯომი, სოფ. საკირე	599342030	მძღოლი
22	გია ფცქიალაძე	12.08.1963	მამრობითი	11001006126	ბორჯომი, მესხეთის ჩიხი 4	599222661	მძღოლი
23	ლევან ხოტივრიშვილი	26.12.1961	მამრობითი	11001004352	ბორჯომი, მესხეთის 37	591140306	მძღოლი
24	დავით კურტანიძე	05.11.1955	მამრობითი	11001007640	ბორჯომი, რაზმაძის 27ა	599224193	მძღოლი
25	გოჩა გელაშვილი	06.02.1984	მამრობითი	11001022940	ბორჯომი, სოფ. ტბა	514064622	მძღოლი
26	გოჩა აკოფოვი	24.07.1963	მამრობითი	11001000338	ბორჯომი,თამარ მეფის 28	591801641	მძღოლი
27	ივანე ფალევანიანი	02.07.1960	მამრობითი	11001007829	ბორჯომი, დაბა წაღვერი, თამარ მეფის 47	599951636	მძღოლი

“მზღვეველი”	**„დამზღვევი“**
სს "სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი" საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674	**ქ.ბორჯომის საზოგადოებრივი ტრანსპორტი ს/კ 426111904**
მისამართი: წერეთლის 116 თბილისი, საქართველო	მისამართი: ქ.ბორჯომი მესხეთის 146 ბ
გენერალური და ფინანსური დირექტორის მინდობილი პირი თბილისის გაყიდვების უფროსი _____ /ოთარ ნამორაძე /	დირექტორი _____ / დიმიტრი ყიფიანი/